ოქმი:**ო37. 3725084001**

თარიღი:**25/03/2025**

ოქმი N 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2025 წელი, 24 მარტი

ქ. ოზურგეთი

16.00- 16.30 -საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. ჭაკნელიძე, ლ. ბიგვავა, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, პ. კიღურაძე, ნ. ჭანიშვილი, ალ. ბურჭულაძე, მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცდეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 13 მარტის N3 საოქმო გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით, განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს დარგობრივ კომისიას(ბ. თოიძე).

2. N 2 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

3. შეტანილ იქნეს ცვლილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 13 მარტის N3 საოქმო გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში, კერძოდ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში ნაცვლად 2025 წლის 26 მარტის საკრებულოს სხდომისა მოსმენილ იქნას ამავე წლის აპრილის თვის სხდომაზე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი